პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 7 იანვარი, 1942 წ. № 5 (6321). ფასი 15 კაპ.

წითელი არმია რისხვაა გერმანელ დამპყრობთათვის

ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც წითელმა არმიამ მოჰქანცა მოწინააღმდეგე განუწყვეტელ თავდაცვით ბრძოლებში, მოსპო მისი ცოცხალი ძალისა და ტექნიკის საკმაოდ დიდი ნაწილი, ფრონტის მთელ რიგ უბნებზე აქტიური თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდა და ზედიზედ აგემა დარტყმა ფაშისტთა ურდოებს. ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე შემოჭრილ გერმანელ ოკუპანტებზე საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა სასიხარულო, ბედნიერი თვე! თითოეული პატრიოტი, თითოეული საბჭოთა მოქალაქე, ასეულ მილიონობით ჩვენი მეგობრები და ფაშიზმის მოწინააღმდეგენი მთელს მსოფლიოში აღტაცებითა და სიამაყით ადევნებენ თვალყურს წითელი არმიის საბრძოლო წარმატებებს; სსრ კავშირის ათეულ მილიონობით მშრომელნი ზურგში თავდადებული მუშაობით აქტიურად ეხმარებიან წითელი არმიის მებრძოლთ საზიზღარი დამპყრობლების განადგურებასა და მოსპობაში.

ძნელია იმ მიღწევათა რამდენიმე სიტყვით ჩამოთვლა, რომლებიც საბჭოთა იარაღმა წარსულ თვეში მოიპოვა. წითელი არმიის დარტყმებით ჩაიფუშა, გაცამტვერდა ჰიტლერელთა გეგმები მოსკოვის გარემოცვისა და აღებისა, ლენინგრადის დაკავებისა და კავკასიის დაპყრობისა. ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულია ათობით ქალაქი, ათასობით დასახლებული პუნქტი. ფაშისტთა მრავალი ათეული დივიზია განადგურებულია ან ისეთი ზარალი მოსვლია, რაც მათ ფაქტიურად ბრძოლისუნარმოკლებულად ხდის. ასიათასობით დამპყრობმა სიკვდილი ჰპოვა ზამთრის ბრძოლის ველებზე. საბრძოლო დავლის სათვალავმა დიდი ხანია გადააჭარბა ათასობით ქვემეხსა და ტანკს და ათიათასობით სხვადასხვა იარაღსა და საჭურველს.

მაგრამ ჩვენი გამარჯვებების მნიშვნელობა მარტო ამ, უშუალოდ სამხედრო შედეგში როდი მდგომარეობს. 1941 წლის 6 ნოემბერს, განსაკუთრებით მრისხანე და მღელვარე ვითარებაში, როდესაც ფაშისტები გაძლიერებით ამზადებდნენ თავიანთ „გადამწყვეტ“ ნახტომს მოსკოვისაკენ, საბჭოთა ხალხმა გაიგონა თავისი ბელადის ამხანაგ სტალინის რწმენით აღსავსე სიტყვა მოსკოვიდან, რომლისკენაც გაავთრებით მოიწევდა მტერი. მეორე დღეს, 7 ნოემბერს დილით, გაისმა ამხანაგ სტალინის სიტყვა წითელ მოედანზე წითელი არმიის პარადის დროს. სტალინური გენია უკვე მაშინ წინასწარ ხედავდა ომის მიმდინარეობაში მოახლოებული გარდატეხის ნიშნებს. მხნეობა და გამარჯვების ურყევი რწმენა გაისმოდა ბელადის სიტყვებში. ეს სიტყვები ისტორიაში დარჩება, როგორც დაუვიწყარი ძეგლი და სტალინური ანალიზის სიღრმის, სტალინური განჭვრეტის ძლიერების ნიმუში.

ომის ყველაზე ძნელ, კრიზისულ მომენტში ამხანაგმა სტალინმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ „ძლევამოსილი“ გერმანიის რეზერვები ილევა, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირის რეზერვების სრული მოცულობით გაშლა მხოლოდ ახლა სწარმოებს. ჩვენ

ცდილობდა მთელი საქმე აეხსნა რუსეთის ზამთრის, სუსხიანი ყინვების დაწყებით. „აღმოსავლეთის ფრონტზე წარმოებულ საომარ მოქმედებებზე,— სწერდა 11 დეკემბერს ფაშისტური გაზეთი „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი“,—მხოლოდ ზამთრის დაწყებამ მოახდინა გავლენა“. გაზეთი „ბერლინერ ბერზენცაიტუნგი“ თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ მოსკოვზე გერმანელთა ლაშქრობის ჩაშლის ერთადერთი მიზეზი არის „ნამდვილი ციმბირის ზამთრის ტემპერატურა და დიდი თოვლი, რაც ზღუდავს ორივე მეომარი მხარის ჯარებისა და მანქანების მოქმედების შესაძლებლობას“ და გაიძახოდა მაშინ: „თუ მტერი შეეცდება გაავთრებული თავდასხმით გაიუმჯობესოს მდგომარეობა, იგი არასასიამოვნო სიურპრიზებს წააწყდებაო“. ჰიტლერის ბანაკის ოფიციალური ცნობა კი უფრო შორს წავიდა და პირდაპირ განაცხადა: „გერმანიის სარდლობა დარწმუნებულია, რომ საბჭოების მხრივ რაიმე მოქმედების შესაძლებლობა სავსებით გამორიცხულიაო“.

რა უბადრუკი რამ არის ფაშისტური პროპაგანდის ეს ყალთაბანდური ხრიკები! ზამთრის კონტრშეტევა, მიუხედავად ფაშისტთა ყველა მტკიცებისა, ფაქტად იქცა. ამ კონტრშეტევამ ზედიზედ მოუტანა გამარჯვება საბჭოთა იარაღს და კვლავაც მოაქვს! წითელმა არმიამ არა მარტო ისწავლა მტრის დამარცხება, არამედ მან შესძლო ხელთ ეგდო მოქმედების ინიციატივა წელიწადის ისეთ დროს, რომელიც ყველაზე მკაცრი, ყველაზე არახელსაყრელია სამანევრო ომისათვის. გერმანელ ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ პირისპირ ბრძოლის დროს წითელი არმია სძლევს, ურტყამს მათ. ეს ბრწყინვალედ მოწმობს ჩვენი ჯარების მაღალ საბრძოლო თვისებებს, საბჭოთა გენერლების უნარსა და ნიჭს.

წითელი არმიის სახელოვან მხედართმთავრებს, რომელთაგან ბევრნი საბჭოთა მთავრობამ დააჯილდოვა სიმამაცისა და გულადობისათვის, იცნობს და სიყვარულით ახსენებს მთელი ჩვენი ქვეყანა. გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სამშობლოს მიერ ამას წინათ დაჯილდოებულთა შორის არიან: გენერლები ბელოვი, ბოლდინი, გოვოროვი, ლელიუშენკო, როკოსოვსკი, სოკოლოვსკი, ბელობოროდოვი, ვლასოვი, გოლიკოვი, გოლუბევი, ეფრემოვი, ზახარკინი, კუზნეცოვი. დაჯილდოებული არიან აგრეთვე არმიათა სამხედრო საბჭოების მრავალი წევრნი, შენაერთთა კომისრები, არმიათა შტაბის უფროსები. ჩვენი ქვეყანა იცნობს აგრეთვე წითელი არმიის სახელოვან გენერლებსა და წითელი ფლოტის ადმირალებს, რომელნიც წარმატებით ხელმძღვანელობდნენ საბრძოლო ოპერაციებს გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ როსტოვთან, ტიხვინთან, კალინინთან, ელეცთან, ქერჩის, ფეოდოსიისა და სხვა საბჭოთა ქალაქების აღების დროს.

წითელი არმია, მისი რიგითი მებრ-

გარდუვალია. ისინი ხედავენ, რომ სულ უფრო და უფრო ირაზმებიან მსოფლიოს ყველა იმ თავისუფლებისმოყვარე ხალხთა ძალები, რომელთაც მტკიცედ გადასწყვიტეს ჰიტლერიზმის განადგურება. მათ უსაზღვროდ უყვართ თავისი სამშობლო და გერმანელთა ჩექმის ქვეშ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენიათ. ისინი დარაზმული არიან საბჭოთა მთავრობის გარშემო, ბოლშევიკური პარტიის გარშემო, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო. ისინი ასე ერთიანნი, როგორც ახლა არიან, არასოდეს არა ყოფილან. ისინი ისე მამაცნი არიან, როგორც ყოველთვის ყოფილან.

სტალინის მტკიცე ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი და მისი წითელი არმია მიდიან წინ გამარჯვების ძნელი, მაგრამ საიმედო გზით!

„პრავდის“ მოწინავე, 6/I.

უკანასკნელ საათს

დასავლეთის ფრონტის ჯარების ნადავლი 1942 წ. 1-დან 5 იანვრამდე

არასრული ცნობებით, დასავლეთის ფრონტის ჯარებმა 1942 წლის 1-დან 5 იანვრამდე გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში ხელთ იგდეს: 58 ტანკი, 28 ჯავშნიანი მანქანა, 337 ქვემეხი, 144 ნაღმსატყორცნი, 85 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 364 ტყვიამფრქვევი, 86 ავტომატი, 3.911 შაშხანა, 73.000 ყუმბარა, 55.309 ნაღმი, 517.000 ვაზნა, 50.000 ტანკსაწინააღმდეგო ვაზნა, 14.000 ავიაბომბი, 3 ტონა დენთი, 5 თვითმფრინავი, 1 პლანერი, 19 რაცია, 3.091 ავტომანქანა, 432 მოტოციკლი, 1.415 ველოსიპედი, 33 ტრაქტორი და საწევარი, 477 საზიდარი, 352 ცხენი, 9 ორთქლმავალი, 264 ვაგონი, 13 ვაგონი საინჟინრო ქონება, 2 ვაგონი თხილამური, 3 ვაგონი საწვავი, 10 პლატფორმა ხე-ტყის მასალა, 1.340 ტონა მარცვლეული ფურაჟი, 1.235 ტონა სურსათი და სხვა სამხედრო ქონება.

1-დან 5 იანვრამდე გერმანელებმა 10.000-ზე მეტი გვამი დასტოვეს ბრძოლის ველზე.

ამავე ხნის განმავლობაში დასავლეთის ფრონტის ჯარებმა გერმანელი ოკუპანტებისაგან გაათავისუფლეს 572 დასახლებული პუნქტი.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

6 იანვრის დილის ცნობა

5 იანვრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ ყველა ფრონტზე.

* * *

ჩვენმა ნაწილმა ერთი დღის ბრძოლის დროს (დასავლეთის ფრონტი) ხელთ იგდო მტრის 42 სატვირთო და 7 მსუბუქი ავტომანქანა, 3 საწევარი, 4 სალაშქრო სამზარეულო, 4 მოტოციკლი, 20 ყუთი ყუმბარა. მეორე უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფმა, რომელიც უკუქცეულ მტერს სდევნის, მოსპო გერმანელთა 40 ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდო 3 ქვემეხი, 10 ტყვიამფრქვევი, 2 ავტომანქანა და 2 რადიოსადგური.

* * *

სამხრეთის ფრონტზე მოქმედი ერთი ჩვენი ნაწილის არტილერისტებმა ერთი დღის საბრძოლო მოქმედების დროს დაანგრიეს მტრის 2 ბლინდაჟი, ერთი ძელმიწური საცეცხლე წერტი, მოსპეს გერმანელთა საარტილერიო ბატარია და გაჰფანტეს მტრის ორ ოცეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე მოქმედი ჩვენი მფრინავები წარმატებით დაესხნენ თავს მტრის ჯარის რკინიგზის ეშელონებს და მოსპეს 36 ვაგონი ქვეითი ჯარითა და სამხედრო ტვირთით.

* * *

საბჭოთა მზვერავების ქვეგანაყოფმა უეცრად მიიტანა იერიში გერმანელთა რაზმზე სოფელ ალფერიევოში და 250-მდე ფაშისტი გაჟლიტა. სოფლიდან გაქცევისას გერმანელებმა მიატოვეს იარაღი და სამხედრო ქონება. ოცეულის მეთაური ნიკიტინი 3 მზვერავ წითელარმიელთან ერთად პირველი შეიჭრა სოფელში და ავტომატით მოსპო 13 გერმანელი, მათ შორის 2 ოფიცერი.

* * *

ლენინგრადის ოლქის გერმანელთა მიერ ოკუპირებულ რამდენიმე რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ამხ. პ-ს მეთაურობით მთელი თავისი მოქმედების განმავლობაში გაჟლიტა 1.483 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპო 68 ავტომანქანა, 4 ცისტერნი საწვავი, 3 ტანკი, 3 ჯავშნიანი მანქანა, 28 მოტოციკლი, 120 კასრი საწვავი და ლიანდაგიდან გადააგდო ჯარის ერთი ეშელონი. რაზმმა ხელთ იგდო 4 ტანკსაწინააღმდეგო თოფი, 350 შაშხანა, 7 ავტომანქანა და სხვა სამხედრო ქონება.

* * *

მოგვყავს ნაწყვეტი მშობლებისადმი მიმართული წერილისა, რომელიც დაზრალ გერმანელ ჯარისკაცს იოზეფ ჰაას აღმოაჩნდა: „არ ვიცი, მოაღწევენ თუ არა თქვენამდე ეს სტრიქონები. ჩვენ ახლა უკან დახევა დავიწყეთ. იცით თუ არა, რას წარმოადგენს უკან დახევა რუსეთის ზამთრის დროს? ნაპოლეონმა ეს იცოდა. ჩვენ უკან ვიხევთ, როცა ყინვა 35 გრადუსია, ირგვლივ ქარიშხალი და თოვლია. ახლა მეტად მიჭირს, გული მტკივა. ქარი სუსხავს და ზუზუნებს. ხელ-ფეხი დამაზრა. მეტი აღარ შემიძლია...“

* * *

თურქმენეთის მშრომელებმა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდში ფულად შეიტანეს 11.371 ათასი მანეთი და სახელმწიფო სესხების ობლიგაციებით 51.267 ათასი მანეთი. აშხაბადის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „წითელი ოქტომბრის“ კოლმეურნე ქალმა ამხ. ნურ ნაბათ ნანაევამ ფონდში შეიტანა 1.400 გრამი ვერცხლი, გეოქ-თეფის რაიონის კიროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნე ქალმა ოგულ საპორ ბერდიევამ შეიტანა ოქროს საათი და 760 გრამი ვერცხლის სამკაული. სულ თურქმენეთის მშრომელებმა თავდაცვის ფონდში შეიტანეს 5 ტონა ვერცხლი. გარდა ამისა, რესპუბლიკის კოლმეურნეებმა და კოლმეურნეობებმა თავდაცვის ფონდისათვის ჩააბარეს 15 ათასი სული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. მარტო ტახტა-ბაზარის რაიონის კოლმეურნეობამ „ოქტომბრის 20 წელმა“ 600 სული ცხვარი და თხა ჩააბარა.

6 იანვრის საღამოს ცნობა

6 იანვრის განმავლობაში ფრონტის მთელ რიგ უბნებზე ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. ბრძოლების მსვლელობაში გერმანელ ფაშისტთა ჯარებს დიდი ზარალი მივაყენეთ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

5 იანვარს მოსპობილია გერმანელთა 14 თვითმფრინავი. ჩვენ 6 თვითმფრინავი დავკარგეთ.

6 იანვარს მოსკოვთან ჩამოგდებულია გერმანელთა 2 თვითმფრინავი.

ჩვენმა ხომალდებმა ბარენცის ზღვაში მტრის 2 ტრანსპორტი და 1 სადარაჯო ხომალდი ჩაძირეს.

* * *

5 იანვარს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს გერმანელთა 13 ტანკი, 780-ზე მეტი ავტომანქანა ქვეითი ჯარითა და ტვირთითურთ, 13 ქვემეხი მომსახურე პერსონალითურთ, 320-ზე მეტი საზიდარი საომარი მასალა, დააზიანეს რკინიგზის ხიდი, მთელ რიგ ადგილას აყარეს რკინიგზის ლიანდაგი, ცეცხლი წაუკიდეს რკინიგზის რამდენიმე ეშელონს, გაფანტეს და ნაწილობრივ დახოცეს მტრის ოთხ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ამხ. ლატიშევის ნაწილი 2 დღის განმავლობაში გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდა მტრის წინააღმდეგ დასახლებულ პუნქტ ლ-სათვის (დასავლეთის ფრონტი). ჩვენი მებრძოლები იერიშზე გადავიდნენ, ხელთ იგდეს პუნქტი ლ. და დიდი ზარალი მიაყენეს გერმანელებს. ბრძოლის ველზე მტრის 700-ზე მეტი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი დარჩა. დავლად წამოღებულია: შორსმსროლელი ქვემეხი, 3 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 4 ნაღმსატყორცნი, 12 დაზგის ტყვიამფრქვევი, 18 ავტომატი და სხვა საჭურველი და საომარი მასალა.

* * *

ამხ. გოროდოვის მებრძოლებმა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მტერთან გააფთრებულ ბრძოლაში დაიკავეს რკინიგზის სად-

გური და ხელთ იგდეს გერმანელთა 19 ქვემეხი, ჯავშნიანი მანქანა, 25 ავტომანქანა, რამდენიმე ტყვიამფრქვევი და ავტომატი.

* * *

ოთხი მეავტომატე წითელარმიელი უმცროს ლეიტენანტ სანდეცკის მეთაურობით უეცრად თავს დაესხა სოფელ ს-ს, სადაც გაჩერებული იყო გერმანელთა ნაწილი, რომელიც უკან იხევდა. მამაცმა მებრძოლებმა ოთხივე მხრიდან გაახსნეს ცეცხლი და დახოცეს მტრის 90 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

სოფელ გოლოვაკოვოში (მოსკოვის ოლქი) ჰიტლერელები მხეცურად გაუსწორდნენ გლეხ პეტრე ზუიკოვს. ბანდიტებმა მას პირისახე, მკერდი და ხელები დაუსერეს, თვალები დასთხარეს, შემდეგ კი თავის ქალა ჩაუმტვრიეს ძალაყინით.

* * *

გერმანიის სასურსათო მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. მთელ რიგ ქალაქებში, მათ შორის ჰამბურგში, მოსახლეობისათვის დღემდე არ მიუციათ იანვრის სასურსათო ბარათები. ქალაქების დამშეული მცხოვრებნი მთელი დღე-ღამეების განმავლობაში მორიგეობენ სასურსათო მაღაზიებთან და საწყობებთან. 2 იანვარს ჰამბურგში დამშეულ ქალთა ჯგუფმა დაარბია 3 მაღაზია და ამასთან მძიმედ დასჭრა ორი პოლიციელი.

* * *

ურალის ერთ-ერთ მანქანათმშენებელ ქარხანაში დამთავრდა 10 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის 2 საწარმოო კორპუსის აგება. მშენებლებს დიდი დახმარება გაუწია ადგილობრივმა მოსახლეობამ. მოედანზე მუშაობდნენ ათასობით მოსამსახურენი, მუშები, სტუდენტები და დიასახლისები. კორპუსები აგებულ იქნა 12 დღეში. მშენებლობის დამთავრების შემდეგ ბევრმა მშენებელმა სურვილი გამოსთქვა სამუშაოდ დარჩეს მოწყობილობის მონტაჟზე.

* * *

გერმანიის არმიის სარდლობამ გერმანელი მოსახლეობის დასამშვიდებლად გამოაქვეყნა მორიგი ყალბი ცნობა ფაშისტთა ავიაციის „გამარჯვების შესახებ“. თურმე, 27 დეკემბრიდან 2 იანვრამდე გერმანელებმა ვითომ ჩამოაგდეს 98 საბჭოთა თვითმფრინავი, თითონ კი თითქოს მხოლოდ 12 თვითმფრინავი დაჰკარგეს. ეს თავიდან ბოლომდე ყალბი და სასაცილო ცნობები ჰიტლერელებმა იმისათვის გამოიგონეს, რომ რამდენადმე მაინც დაჰფარონ ის დამარცხებანი, რომლებსაც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე განიცდიან გერმანელ ფაშისტთა ჯარები. ნამდვილად კი გერმანიის ავიაციამ აღნიშნული პერიოდის განმავლობაში 110 თვითმფრინავი დაჰკარგა. საბჭოთა ავიაციის დანაკლისი ამავე ხნის განმავლობაში 25 თვითმფრინავს შეადგენს.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი უფროსთა შემადგენლობის პირთათვის სამხედრო წოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

მიენიჭოთ სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი უფროსთა შემადგენლობის ქვემოჩამოთვლილ პირთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით დაწესებული სამხედრო წოდებანი.

სანაპირო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტის წოდება:

1. მიტროფანე ივანეს-ძე **მოსკალენკოს.**

კონტრ-ადმირალის წოდება:

1. ნიკოლოზ ეფრემის-ძე **ბასისტს,**
2. პავლე ივანეს-ძე **ბოლტუნოვს,**
3. ნიკოლოზ ეგნატეს-ძე **ვინოგრადოვს,**
4. ვასილ ივანეს-ძე **პლატონოვს.**

სანაპირო სამსახურის გენერალ-მაიორის წოდება:

1. ვასილ მიხეილის-ძე **კორაბულკინს,**
2. ივანე ათანასეს-ძე **კუსტოვს,**
3. სტეფანე ვასილის-ძე **ლიშენკოვს.**

ავიაციის გენერალ-მაიორის წოდება:

1. ალექსი მათეს-ძე **მირონოვს.**

საინტენდანტო სამსახურის გენერალ-მაიორის წოდება:

1. ალექსანდრე ივანეს-ძე **ვილესოვს,**
2. იაკობ იაკობის-ძე **იაკოვლევს.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ი. სტალინი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი

ი. ჩადაევი.

მოსკოვი, კრემლი 1942 წლის 3 იანვარი.

იდენი სსრ კავშირში მოგზაურობის შესახებ

გამოსვლა რადიოთი

ლონდონი, 4 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს, საღამოს, საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი და აღწერა თავისი მოგზაურობა რუსეთში. იდენმა განაცხადა:

„მე პირველად როდი ვმოგზაურობ რუსეთში. თითქმის 7 წლის წინათ მოსკოვს ვიყავი. იმ დროს არ ვივიწყებ. ცა კაშკაშა იყო, მაგრამ შორ ჰორიზონტზე ომის ღრუბლები უკვე იკრიბებოდა. ამ ღრუბლების გარჩევა უკვე შეიძლებოდა. სწორედ მაშინ, 1935 წელს, მე მოსკოვს ვიყავი და სტალინს ვესაუბრე. მაშინ ვფიქრობდი, ისე როგორც ახლაც ვფიქრობ, რომ საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ინტერესებს შორის ნამდვილი წინააღმდეგობანი არ არსებობენ. ეს ორივე მხარემ განაცხადა კომუნიკეში, რომელიც მაშინ გამოქვეყნდა. მაშინ ვფიქრობდი, ისე როგორც ახლა ვფიქრობ, რომ, ბევრი აშკარა განსხვავების მიუხედავად, ჩვენი ძირითადი ამოცანა ერთი და იგივეა. ორივეს მშვიდობიანობის შენარჩუნება გვეწადა. ეს მშვიდობიანობა დავკარგეთ, მაგრამ ახლა აღსავსენი ვართ მტკიცე ნებისყოფით არ წავაგოთ ეს ომი ან მშვიდობა, რომელიც მას მოჰყვება. ამრიგად, მე მოხარული ვიყავი, რომ შემთხვევა მქონდა კვლავ წავსულიყავ მოსკოვს და კვლავ მესაუბრა სტალინთან.

სამეფო სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემებმა სწრაფად და დამშვიდებით მიგვიყვანა ჩრდილოეთ რუსეთის დანიშნულების პუნქტში. ეს მოგზაურობა სოლიარი იყო, მაგრამ იოლი როდი იყო. ჩვენ ზამთრის ბობოქარი ზღვით მივდიოდით, და ერთხელ მეზღვაურებმა გვითხრეს, გემზე ტონობით ყინულიაო. უნდა გამოვტყდე, მიხაროდა, როდესაც ევროპის ჩრდილოეთ კიდურს გავცდით და მურმანსკის სანაპიროს გასწვრივ მივდიოდით. როცა საბჭოთა მიწაზე ფეხი შევდგით, ძლიერ თოვდა. მიდამოებს ანათებდა მკრთალი სინათლე ჩრდილოეთის მთვარისა, რადგან მზე იქ ზამთრის თვეებში სრულიად არ ამოდის. სანაპიროზე ჩამწკრივებული იყო საბჭოთა ჯარისკაცების რაზმი. ისინი შთაბეჭდილებას ახდენენ, მათ აცვიათ თბილი ცხვრის ქურქები, რაც უფრო პრაქტიკული ფორმაა, ვიდრე ეხზალ-ტანსა-

რია გერმანიის სამხედრო მანქანა. მაგრამ მათ სწამთ, რომ ამეამად შეუძლიათ გაუმკლავდნენ თავის მოწინააღმდეგეს. ისინი აღსავსენი არიან მტკიცე ნებისყოფით — ძვირად დაუსვან მტერს საბჭოთა კავშირის ქალაქების, სოფლებისა და საწარმოების დანგრევა. ჰიტლერმა აირჩია მეთოდი უეცრად დაერტყა იმ ხალხისათვის, რომელთანაც ცოტა ხნის წინათ მეგობრობის პაქტი დასდო. უეჭველია, რომ თავდაპირველად ამ მეთოდმა მას ძვირფასი სამხედრო უპირატესობანი მიანიჭა. მაგრამ პოლიტიკურად ეს სიგიჟის შეტევა იყო. ჰიტლერმა მარტო ამ ნაბიჯით გააერთიანა მთელი რუსეთი. მან ომი გადააქცია ჯვაროსნულ ლაშქრობად, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირის გაწმენდას უკლებლივ ყველა გერმანელისაგან. ჰიტლერის მიერ დაპყრობილ მთელ ტერიტორიაზე არცერთი რუსი კვისლინგი არ მოიპოვება. მთელი ზაფხულისა და მთელი შემოდგომის განმავლობაში საბჭოთა ჯარები ბრძოლით იხევდნენ უკან. ისინი იცავდნენ ყოველ სოფელსა და ყოველ მინდორს, რათა მტერი მოექანცათ. ახლა ომი სრულიად შეტრიალდა. რუსების კონტრიერიშები კონტრშეტევად გადაიქცა.

ახლა გერმანელებს უხდებათ რუსეთის ზამთრის სუსხის ატანა. რაც უნდა იცრუოს ჰიტლერმა, მისი არმიები ამისათვის მზად არ ყოფილან. რუსეთის ჯარების საბრძოლო სულისკვეთება მშვენიერია. მათი მორალური მდგომარეობა ახლა უფრო მაღალ დონეზეა, ვიდრე ოდესმე წინათ. ისინი ულმობლად და შეუსვენებლივ ურტყამენ უკუქცეულ გერმანელებს. რამდენადმე მე თვითონ ვნახე ეს შეტევა. ჩვენ წავედით მოსკოვ-ლენინგრადის გზატკეცილით კლინამდე და რამდენიმე მილით კლინსაც გავცდით. მთელ გზაზე შეიძლებოდა გვენახა ბრძოლის საშინელი კვალი: ყუმბარებით დანგრეული ქალაქი, დახლეჩილი ხეები, მიტოვებული ქვემეხები და ნასახლარები. ჩვენ კარგად გავეცანით გადამწვარი მიწის პოლიტიკას. ამ ადგილას შენობების მეტი წილი ხისაა და აგურით ნაგები მხოლოდ ღუმელის საკვამურებია. ამრიგად, როცა სახლი დაიწვება, რჩება მარტო ცადაწვდილი აგურის სვეტები. გადამწვარი მიწა ყინვიან ქვეყანაში. ამ პოლიტიკის შედეგი უფრო საშინელია, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო ტო-

ძ მ ე ბ ი

ბალადა

ისინი დილით ნახეს ფლატეში,
ერთად ჩაკრული მშობლიურ გრძნებით,
და მოათავსეს ერთ პალატაში
მტერთან ბრძოლაში დაჭრილი ძმები!

ერთად იბრძოდენ, ერთ მიზნისათვის,
ცეცხლის ალში თუ კვამლში გართული,
— სამშობლოსათვის, სტალინისათვის —
მტერს მიჰქროდენ ხმალ-აღმართული!

მაგრამ დაეცნენ მკერდზე მახვილით,
თვალთ ყორნისფერი ნისლი ებურათ,
და „ვაი-ნანას" ამოძახილით
სიკვდილს ებრძოდენ ვეფხისებურად!

კვლავ წამოდგომა ეწადათ, მაგრამ
ვეღარ დგებოდენ, ხმალს ვერ წვდებოდენ,
ხელი ჩასჭიდეს ერთმანეთს მაგრად,
ჩოქვით ერთმანეთს ეზიდებოდენ!

ძლივს მიაწვდინეს მეგობრებს ხმები,
პირაღმა იწვნენ თოვლის ფლატეში,
და სასიკვდილოდ დაჭრილი ძმები
მოთავსებულან ერთ პალატაში!

დილით, როდესაც მზე ოქროს მკერდით
ჭერს გაანათებს, გაამზეურებს
— ძმა როგორ არის?—კითხულობს ერთი
— ძმა როგორ არის?—დარდობს მეორე!

ძილში, როდესაც ყუმბარის ფერდი
ციდან მოწყდება ვით მეტეორი
— ძმა ცოცხალია?—ბუტბუტებს ერთი.
— ძმა ცოცხალია—გმინავს მეორე!

სიზმრების ზღვა კი, როგორც ხომალდებს
ტახტებს არწევს და ღელვა ჰგონიათ,
და ასე, სულის ამოხდომამდე,
ძმას აწამებდა ძმის აგონია!

ერთ მრისხანე დღეს, როცა ავდარი
სძრავდა მიდამოს, ცა რისხვით ჰქუხდა,
პალატა სდუმდა ვით ნასაყდარი,
ძმა ძმის შესახებ აღარა სწუხდა!

ალიო მაშაშვილი

სამამულო ომის ფრონტებზე

იქ, სადაც ფაშისტური დილეგი იყო

კალუგა, 5 იანვარი (საკდესის სპეციალური კორესპონდენტისაგან). მე-7 სკოლა ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა იყო ქალაქ კალუგაში. აქ სწავლობდა ასობით ბედნიერი საბჭოთა ბავშვი, რომლებიც ჩინებული სწავლის მაგალითს აძლევდნენ ყველა მოსწავლეს. ფაშისტებმა კალუგაში მოსვლის პირველ დღესვე გაძარცვეს და დაარბიეს სკოლა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ გამოაცხადეს: „განსაკუთრებულ განკარგულებამდე სკოლაში მეცადინეობა არ იწარმოებსო". ჰიტლერელებმა აქ გესტაპოელები დააბინავეს. ფაშისტები ყოველ დღე გზავნიდნენ აქ დასაკითხავად და საწამებლად ათობით საბჭოთა ადამიანს. ვინც ბანდიტებთან დილეგში მოხვდებოდა, იგი, როგორც წესი, შინ ვეღარ ბრუნდებოდა. კალუგელები ცდილობდნენ გვერდი აექციათ სკოლის შენობისათვის, რათა ჰიტლერელი კაციჭამიების მიერ წამებული ადამიანების ყვირილი არ გაეგონათ.

მიიღეს თუ არა პირველი ცნობა, რომ ქალაქში მყოფ გერმანელთა ჯარებს საფრთხე ემუქრებოდა, უწინარეს ყოვლისა, გესტაპოელები გაიქცნენ. ეს არამზადები, რომლებსაც სამართლიანად ეშინოდათ ხალხის შურისგებისა, ისე აჩქარებით გარბოდნენ, რომ თავის სისხლიან ბოროტმოქმედებათა კვალის დამალვაც ვერ მოასწრეს. როცა განთიადზე ქალაქში მეთაურ ფოკანოვისა და ბორისოვის მებრძოლები შევიდნენ, სკოლის ეზოში იყო ჰიტლერელთა მიერ სულ უკანასკნელ წუთს დახვრეტილი უბედური ადამიანების ჯერ კიდევ თბილი გვამები.

სკოლის ეზო მოფენილი იყო გერმანელთა მიერ დახვრეტილ საბჭოთა მოქალაქეების გვამებით. ჩვენ 42 გვამი დავითვალეთ. ბევრ მათგანს მხეცური წამების კვალი ატყვია. აი წევს მოხუცი, რომლის თავის ქალა რაღაც მძიმე საგნით გაუპიათ. მის გვერდით ახალგაზრდა ქალია. ქალისთვის ბანდიტებს თვალები დაუთხრიათ. ფაშისტები, როცა თავის მსხვერპლს ჰკლავდნენ, ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი ტანჯვა მიეყენებინათ მისთვის. ისინი რამდენიმე ტყვიას ახლიდნენ მსხვერპლს—ჯერ მუცელში, შემდეგ ფეხში, ხელში, ზურგში. ერთ გვამზე 12 ნატყვიარი და ორი დანით მიყენებული ჭრილობა დავითვალეთ. მაგრამ ფაშისტები კაცის მოკვლის შემდეგაც განაგრძობდნენ მისი გვამის შეურაცხყოფას. ზოგიერთ გვამს გარკვევით აჩნევია ნაჯახის დარტყამი და აშკარაა, რომ ნაჯახი მას შემდეგ დაურტყამთ, რაც კაცი მხეცურად მოუკლავთ.

საძაგელი მკვლელებისადმი ზიზღისა და სიძულვილის გრძნობით გამსჭვალულნი შევდივართ ოთახში, სადაც დაპატიმრებულთა დაკითხვა ხდებოდა. სისხლით მოსვრილ მაგიდაზე აწყვია გასისხლიანებული რეზინის ხელთათმანები და რაღაც ლითონის საგნები—სატანჯავი ინსტრუმენტები. მაგიდის ახლოს ორი ნაჯახი ჰგდია. იქვე მოკვეთილი ხელები, ფეხები და ხორცის უფორმო ნაჭრები ჰყრია. აქ ფაშისტები აწამებდნენ არამარტო საბჭოთა მოქალაქეებს, არამედ გერმანიის არმიის ჯარისკაცებსაც, რომლებზედაც ეჭვს მიიტანდნენ, რომ ისინი უკმაყოფილონი იყვნენ პირსისხლიანი ჰიტლერული რეჟიმის გამო. მარცხნივ, ფანჯარასთან არის გერმანელი ჯარისკაცის გვამი; პირისახე მას დამწვარი აქვს და წამების სხვა ნიშნებიც ეტყობა.

ჰიტლერელი არამზადების ეს საშინელი ბოროტმოქმედებანი აფსკზე გადაიღო საბჭოთა კინოოპერატორმა, რომელიც პირველთა შორის შევიდა კალუგაში. ეს კინოდოკუმენტი ახალი საბრალდებო აქტი იქნება ჰიტლერელი მტარვალების წინააღმდეგ, რომლებმაც ადამიანის სახე დაჰკარგეს.

მურტალ გერმანელებს სურდათ მთელი კალუგა კოშმარულ ფაშისტურ დილეგად გადაექციათ. ქალაქგარე ბაღში გერმანელები ყოველ დღე ხვრეტდნენ ათობით ადამიანს. აქ ჩვენ ვნახეთ გერმანელთა მიერ დახოცილ კალუგელ მოქალაქეთა 15 აუკრეფავი გვამი.

კალუგაში მთელი ებრაელობისათვის უბრძანებიათ, რათა ტანსაცმელზე — მკერდსა და ზურგზე ყვითელი გამოსაცნობი ნიშნები ჰქონოდათ. ებრაელები ერთ შენობაში შეურეკიათ და იქიდან გამოსვლის ნებას არ აძლევდნენ. ზოგნი შიმშილით დაიხოცნენ, დანარჩენებს ფაშისტები დაწვასა და დახვრეტას უპირებდნენ, მაგრამ ვერ მოუსწრიათ.

უკანასკნელ დღემდე ცენტრალურ მოედანზე ეკიდა მშვიდობიან მოქალაქეთა 4 გვამი. გერმანელებს ისინი ჩამოუხრჩვიათ იმის გამო, რომ პარტიზანებმა კავშირგაბმულობა მოუშალეს გერმანელებს.

გერმანელებმა ქალაქში მოსახლეობის აღწერა მოახდინეს. ქალიშვილები ოფიცერთა და ჯარისკაცთა საროსკიპოებში და გერმანელთა ლაზარეთში შეჰყარეს იმისათვის, რომ მათ მოევლოთ დამზრალი ტილიანი ფრიცებისათვის, ჰანსებისა და ადოლფებისათვის. ბევრმა ქალიშვილმა სირცხვილი ვერ აიტანა და თავი მოიკლა.

კალუგა საბჭოთა ქალაქი გახდა, მაგრამ გერმანელ ოკუპანტთა საზიზღარი ბოროტმოქმედებანი არასოდეს არ იქნება დავიწყებული. ამას ისინი სასჯებით ზღავენ.

გ. კრილოვი.

77 საათი ტანკში

ღამით მესანგრენი ნაპირის მოყინულ ციცაბო ფერდობზე ტანკებისათვის გასასვლელ გზას აკეთებდნენ. მებრძოლები გააფთრებით ანგრევდნენ სიღრმემდე გაყინულ მიწას. დილით კი მრისხანე მანქანები ნაპირზე აიჭრნენ და მტრის სანგრებისაკენ გაეშურნენ.

კოშკურის მსროლელმა ვასილ ლოგინოვმა სროლა აუტეხა გერმანელთა ბლინდაჟებს და საცეცხლე წერტებს. მანქანა მუხლუხებით სთელავდა, სრესდა. და უეცრად ტანკი ფუგასს წააწყდა. გაისმა აფეთქება. მექანიკოსი-წამყვანი ვიქტორ კოტოვი ფეხში დაიჭრა.

მანქანის მეთაურმა უმცროსმა ლეიტენანტმა ივანე ზენკოვმა სადესანტო ხუფი ახსნა, რომ მანქანა დაეთვალიერებინა:

— დაზიანებულია მუხლუხოები, მარცხენა მოგლეჯილია...

მან ფრაზის დამთავრება ვერ მოასწრო, მტრის ტყვიით განგმირული დაეცა. გერმანელები ტანკს უახლოვდებოდნენ.

— არ ისროლოთ!—გასცა ბრძანება ლოგინოვმა, რომელმაც მეთაურობა იკისრა.

— ზარბაზანი მოაქვთ, — შენიშნა რადისტმა იგნატ იუდენკომ.

გერმანელებმა რამდენჯერმე ესროლეს ტანკს. ყუმბარები საშინელი ძალით ეხეთქებოდა მძლავრ ჯავშანს. ტანკი ზანზარებდა და ფოლადი ყრუდ ზრიალებდა. შემდეგ სროლა შესწყდა: გერმანელები დარწმუნდნენ, ეკიპაჟი დახოცილიაო.

დაჭრილი წამყვანი სულ უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა. მეგობრებმა ამხანაგს თექის ჩექმა გაუპრეს, აიღეს სახვევი, დაასველეს ის ოდეკოლონით, რომელიც შემთხვევით მანქანაში აღმოჩნდა, და სათბობი კომპრესი გაუკეთეს.

შიოდათ, მაგრამ საჭმლის მარაგი, რაც ეკიპაჟს მოეპოვებოდა, სულ რამდენიმე ხმიადისაგან შესდგებოდა.

— ბევრი ვერაფერი სიმდიდრეა, — წყენით წარმოსთქვა ლოგინოვმა. — ეკონომია უნდა გავწიოთ.

შორს ბრძოლის გუგუნი ყურდებოდა. ახლოვდებოდა ღამე. გერმანელები საბოლოოდ რომ დაერწმუნებინა ეკიპაჟის დაღუპვაში, ლოგინოვმა გადაწყვიტა მანქანიდან არ გამოსულიყვნენ. ყველას წყურვილი სტანჯავდა. დაჭრილს წვეთწვეთობით აძლევდნენ ოდეკოლონს, თვითონ თავს იმაგრებდნენ. ღამე დაზიანების დეტალურად გასინჯვას და რემონტისათვის მომზადებას მოანდომეს. დილით კვლავ ჩაიმალნენ.

და აი დადგა მესამე ღამე. იუდენკო და ლოგინოვი მარჯვენა მუხლუხის გასწორებას შეუდგნენ. ჩაქუჩს რკინაზე ჭახანი [illegible] დაეწყო, მას ნაბადი შემოახვიეს. ეს მუშაობას ართულებდა, მაგრამ სამაგიეროდ ხმაურობა აღარ ისმოდა. დიდი გაჭირვებით შესძლეს ტანკისტებმა მუხლუხოს აღდგენა.

დილით საბჭოთა ბატარეებმა ფაშისტები სანგრებში ჩარეკეს. დადგა მოქმედების დრო. მაგრამ როგორ აამუშაონ მოტორი ტანკს, რომელიც სამ დღე-ღამეს ყინვაში იდგა? როგორ გააკეთონ ეს ისე, რომ გერმანელებმა ვერ შეამჩნიონ.

ტანკისტებმა ძლივს შემოახვიეს სახვევი, დაასველეს ის ბენზინისა და ოდეკოლონის ნარევით, მოხსნეს შიდა ტიხრი, რომელიც ჩადგმულია წამყვანსა და მოტორს შუა, და ცეცხლი წაუკიდეს სახვევს. ცილინდრებმა გათბობა იწყო.

— ვიტია, — მეგობრულად უთხრა ლოგინოვმა,—შენ გაგიჭირდება, მანქანას მე წავიყვან.

— არა, ვასია, მოვკვდები, მაგრამ მანქანას თვითონ მივიყვან.

გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი მტანჯველი ლოდინი. ცეცხლწაკიდებულ სახვევს ნელი ტკაცუნი გაჰქონდა. და აი ცილინდრები გათბა. კოტოვმა მოტორი ჩართო, და ის აგუგუნდა. ამავე დროს გაისმა ზარბაზნის სროლა და ტყვიამფრქვევის კაკანი. ლოგინოვი პირდაპირ უმიზნებდა მიზანს. მან დაამსხვრია გერმანელთა ბლინდაჟი და ერთიმეორეზე მოსპო ორი დაზგის ტყვიამფრქვევი. იუდენკო წვიმასავით აყრიდა ტყვიას ფაშისტთა ქვეითს ჯარს.

გერმანელები გაოცებისაგან დაიბნენ. ამ ტანკის გაღვიძება, რომელშიც სამ დღე-ღამეს სიცოცხლის ნიშანწყალი არ სჩანდა, მოულოდნელი იყო მათთვის. მათ სროლაც არ აუტეხიათ.

ამასობაში კოტოვმა სიჩქარე ჩართო. ტანკი ზიგზაგებით, კვეთებით, ერთი მომუშავე მუხლუხოთი შორდებოდა მტრის სანგრებს. იგი ცოცხლობდა და მოქმედებდა.

უკანა რეისზე ტანკისტებმა მოსპეს მტრის ორი ზარბაზანი, ორი ძელ-მიწური საცეცხლე წერტი, სამი ტყვიამფრქვევი და 50-ზე მეტი ფაშისტი.

ტანკმა 77 საათი დაჰყო გერმანელთა სანგრების განლაგებაში.

პოლიტხელი დ. ხრენკოვი.
პოლიტხელი ა. ბაკალოვი.

ლენინგრადის ფრონტი.
(„პრავდა", 25/XII).

გერმანელებს დიდი ზარალი მოსდით

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი, 4 იანვარი (საკდესის სპეც. სამხედრო კორესპონდენტისაგან). ფრონტის ზოგიერთ უბანზე გერმანელები ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ შეინარჩუნონ ზღუდეები, რათა სანგრებში ჩასხდნენ ან შეაჩერონ ჩვენი ნაწილების წინსვლა. ფაშისტები კონტრიერიშებზე გადმოდიან. მაგრამ მტერი იშვიათად აღწევს წარმატებას. მაგალითად, გუშინ მნიშვნელოვანი პუნქტის რაიონში გამართული გააფთრებული ბრძოლის დროს ნ. ნაწილმა, სადაც კომისრად ამხ. პოლოსოვი მუშაობს, არამცთუ სძლია მტრის წინააღმდეგობა, არამედ გააქცია კიდევაც მტრის რეზერვები, რომლებიც დასახმარებლად მოდიოდნენ. ბრძოლის ველზე 500 გერმანელი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამები დარჩა. ხელთ ვიგდეთ მტრის 23 ქვემეხი, 30 ტყვიამფრქვევი, სხვადასხვა სამხედრო ქონებით დატვირთული 12 ავტომანქანა, 40 მოტოციკლი, 100 ველოსიპედი და დიდძალი საომარი მასალა.

ჩვენი ჯარის ნაწილების მიწოლა არ სუსტდება

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი, 5 იანვარი („პრავდის" სპეც. სამხედრო კორესპონდენტისაგან). გუშინ გერმანელები იძულებული გახდნენ ახალ ზღუდეებზე გადასულიყვნენ ქალაქ ნ-ს რაიონში. ფაშისტებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ნ-ნაწილმა მტერთან გააფთრებულ შეტაკებათა დროს მოსპო ასობით ფაშისტი და ხელთ იგდო 19 ქვემეხი, 2 ტყვიამფრქვევი, 2 ნაღმსატყორცნი და 25 ავტომანქანა. მტერს წარმატებით ანადგურებდა მეორე ნაწილიც, სადაც კომისრად ამხ. ეგოროვი არის. მთელი გზა 20 კილომეტრზე მოფენილია გერმანელ დამპყრობთა გვამებით, დამტვრეული მანქანებითა და საზიდრებით. უკან დახევისას გერმანელები ცდილობენ დანაღმონ სახლები და ქუჩები. ჯარისკაცებისა და ოფიცრების გვამებსაც კი ნაღმავენ. ჩვენი მესანგრეები კვალდაკვალ მისდევენ უკანდახეულ გერმანელებს და უბანს უბანზე უვნებელჰყოფენ.

გ. გრიგორენკო.

შვერნიკის გამოსვლა პროფკავშირულ კონფერენციაზე ინგლისში

ლონდონი, 4 იანვარი (საკდესი). გუშინ შესდგა ლივერპულის რაიონის ტრედუნიონთა და პროფსაბჭოთა დელეგატების კონფერენცია, რომელშიც 500 კაცი მონაწილეობდა. დარბაზი მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ბაირაღებით. კონფერენციას დაესწრნენ: ტრედუნიონთა კონგრესის მდივანი სიტრინი და საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის წევრები ამხ. შვერნიკი, იაკუბოვი და მასალოვი. მუშები, რომლებსაც ხელში ეჭირათ პროფკავშირული დროშები, მიესალმნენ საბჭოთა დელეგატებს დარბაზის შესასვლელთან, დარბაზში დელეგატების გამოჩენამ კი ოვაცია გამოიწვია, რაც რამდენიმე წუთს გრძელდებოდა.

პროფსაბჭოს თავმჯდომარემ პორტერმა წაიკითხა ტექსტი ინგლისისა და საბჭოთა კავშირის პროფკავშირების შეთანხმებისა, რომელიც დადებულია მოსკოვში ოქტომბრის შუა რიცხვებში. სიტრინმა კონფერენციას წარუდგინა რეზოლუცია, რომელიც იწონებს ინგლისისა და საბჭოთა კავშირის პროფკავშირული კომიტეტის შექმნას, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა წარმოების გადიდება.

საბჭოთა დელეგაციის წევრმა ამხ. მასალოვმა თავის გამოსვლაში კონფერენციას უამბო საბჭოთა საავიაციო მრეწველობის მუშების გმირობა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანელთა დამარცხებანი წარმოადგენენ ჰიტლერელი ბარბაროსების მოსპობის მხოლოდ დასაწყისს. გამარჯვების დასაჩქარებლად საჭიროა საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ქარხნებში გადიდებულ იქნას ზარბაზნების, თვითმფრინავებისა და ტანკების წარმოება. ამხ. მასალოვის ეს სიტყვები ტაშით დაფარეს.

შემდეგ გამოვიდა ამხ. შვერნიკი, რომელსაც ოვაციით შეხვდნენ. ამხ. შვერნიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჰიტლერის გეგმა საბჭოთა ხალხების დამონებისა კრახით დამთავრდა და სთქვა, რომ ინგლისისა და საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა შეთანხმებამ, რომელიც მაშინ დაიდო, როცა მოსკოვის ირგვლივ ქვემეხების გრიალი იყო, ომის შემდეგაც უნდა იმოქმედოს. დელეგატებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს ამხ. შვერნიკის მოთხრობა საბჭოთა მუშების სოციალისტური შეჯიბრების მიღწევებზე, საბჭოთა ქალების შესანიშნავ მიღწევებზე, რომლებიც რთულ პროფესიებს ეუფლებიან, საბჭოთა საწარმოების საწარმოო კონფერენციების მუშაობაზე. ამხ. შვერნიკმა განაცხადა: „სჯობს სიძნელენი გადავიტანოთ და წარმოება გავადიდოთ ომის დროს და მტერი დავამარცხოთ, ვიდრე ჰიტლერის მონები გავხდეთო". ამ განცხადებამ განსაკუთრებით მქუხარე ტაში გამოიწვია.

რეზოლუცია ერთხმად მიიღეს.

რუზველტისა და ჩერჩილის განცხადება გენერალ უეიველის დანიშვნის შესახებ

ლონდონი, 3 იანვარი (საკდესი). წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალთა უმაღლეს სარდლად გენერალ უეიველის დანიშვნასთან დაკავშირებით, რუზველტმა და ჩერჩილმა განცხადება გამოაქვეყნეს, რომელშიც ნათქვამია: „შეერთებული შტატების სარდლობის მიერ წამოყენებული წინადადებისა და პრეზიდენტ რუზველტისა და პრემიერ-მინისტრ ჩერჩილისათვის მისი რეკომენდების შედეგად ცხადდება, რომ ჰოლანდიის მთავრობისა და დომინიონთა დაინტერესებული მთავრობების თანხმობით წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ აუზში შეიქმნება ერთიანი სარდლობის სისტემა. ამ რაიონის მთელი სახლვაო, სახმელეთო და სამხედრო-საჰაერო ძალების მოქმედება ერთ უმაღლეს სარდლობას დაექვემდებარება.

„განცხადებაში იმავდროულად აღნიშნულია, რომ გენერალისიმუსმა ჩან კაი-შიმ იკისრა უმაღლესი სარდლობა მთელი სახმელეთო და სამხედრო-საჰაერო ძალებისა, რომლებიც ამჟამად მოქმედებენ ან შეიძლება მომავალში იმოქმედონ ჩინეთის საომარ ასპარეზზე, მათ შორის ინდო-ჩინეთის ან ტაის იმ ნაწილებში, რომლებიც შეიძლება გაერთიანებული ერების ჯარებისათვის მისაწვდომი გახდნენ. შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენელნი მის მთავარ ბანაკში იქნებიან და საშტაბო მუშაობას გასწევენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მატულობს სასურსათო პროდუქტების წარმოება

ნიუ-იორკი, 4 იანვარი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მიწათმოქმედების მინისტრმა ვიკარდმა სტატია გამოაქვეყნა, რომელშიც აცხადებს, რომ შეერთებულ შტატებს ამჟამად იმდენად დიდი სურსათის მარაგი მოეპოვებათ, როგორიც მათ არასოდეს არა ჰქონიათ. მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში სასურსათო პროდუქტების წარმოებას ჯერ კიდევ არ მიუღწევია მაქსიმალური დონისათვის. 1941 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მეტი სურსათი დამზადდა, ვიდრე რომელიმე წინა წელს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში იწვევენ სამოქალაქო ავიაციის მფრინავებს

ნიუ-იორკი, 4 იანვარი (საკდესი). სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ მას განზრახული აქვს სამსახურში მიიღოს სამოქალაქო ავიაციის მფრინავები; ისინი სხვადასხვა ქვეყნებში ჩაიყვანენ ამერიკის თვითმფრინავებს, რომლებიც ამ ქვეყნებს ეძლევათ საჟურვლის სესხად ან იჯარით გაცემის კანონის საფუძველზე.

იტალიაში გამწვავდა შინაპოლიტიკური მდგომარეობა

სტამბოლი, 5 იანვარი (საკდესი). იტალიიდან მოდის ცნობები, რომ ფაშისტური პარტიის მმართველი ზედა ფენები მეტად შეშფოთებული არიან იმით, რომ იტალიაში მატულობს ანტიფაშისტური სულისკვეთება. შავხალათიანების რაზმებმა და ფაშისტურმა მილიციამ ინსტრუქციები მიიღეს გააძლიერონ რეპრესია „უკმაყოფილო ელემენტების" წინააღმდეგ. ფაშისტური საბჭოს ბრძანებით, მთელს იტალიაში საჯაროდ წაიკითხეს მუსოლინის სიტყვა, რომელიც მან 1942 წლის 3 იანვარს წარმოსთქვა და რომლითაც მოუწოდებდა ყველა იტალიელი ანტიფაშისტის გაჟლეტისაკენ. მუსოლინიმ იმავე დღეს თავი მოუყარა ფაშისტური პარტიის ორგანიზაციათა დედაქალაქისა და პროვინციელ მეთაურებს, რათა ვრცელი „ინსტრუქციები" წაეკითხა მათთვის. ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ ამ ინსტრუქციებში ფაშისტური პარტიის წევრების წინაშე დასახულია იმის ამოცანები, რომ „ყოველგვარი განსაცდელისათვის მოამზადონ იტალიელი ხალხი" და „ჩაუნერგონ მას რწმენა ურღვევი კავშირი იქონიოს ღერძის მოკავშირეებთან".

ახლადდანიშნულმა ფაშისტური პარტიის მდივანმა ვიდუსონმა სიტყვა წარმოსთქვა და გაძლიერებით იმუქარებოდა „ახალი ყოველგვარი მსხვერპლის გაღებას" და „მუსოლინის ერთგულად დარჩენას". როგორც იუწყებიან, ფაშისტთა სხვა თვალსაჩინო მეთაურები თავის სიტყვებში აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიისა და ლიბიის ფრონტებზე იტალიის ჯარების დამარცხების შესახები ცნობები დიდად აწუხებს იტალიის მოსახლეობას. მათ მუსოლინისაგან მოითხოვეს იტალიის ჯარის ახალი ნაწილები გადაიყვანოს ბალკანეთის ქვეყნებიდან იტალიაში, „შინაგანი გართულების" შემთხვევისათვის.

ჰიტლერის ხრიკები შვეიცარიის წინააღმდეგ

სტოკჰოლმი, 4 იანვარი (საკდესი). როგორც გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტის" ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, გერმანიაში ამჟამად მოქმედებს ჰიტლერელების მიერ მოწყობილი ნაცისტური ორგანიზაცია „შვეიცარიის ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა". ორგანიზაციას ხელმძღვანელობს შვეიცარიელი ემიგრანტი ფრანც ბური. შვეიცარიელი ნაცისტები ვენაში გერმანიის ფულით ჰბეჭდავენ საპროპაგანდო ბიულეტენს „ინტერნაციონალე პრესე აგენტურ". ორგანიზაცია ისწრაფვის ძირგამომთხრელი მუშაობა აწარმოოს შვეიცარიაში და დიდძალ ნაცისტურ ლიტერატურას ჰგზავნის იქ. ნაცისტები სისტემატურად სდევნიან შვეიცარიის არმიის მთავარსარდალს გენერალ გიზანს. იმავდროულად ისინი გააფთრებულ პროპაგანდას ეწევიან იმის სასარგებლოდ, რომ შვეიცარია გერმანიას შეუერთდეს.

ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში საშემოდგომო ნათესები შემცირდა

ნიუ-იორკი, 5 იანვარი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, მიწათმოქმედების სამინისტრო აღნიშნავს, რომ შემოდგომაზე არახელსაყრელი ამინდისა და მუშახელის მწვავე ნაკლებობის გამო გერმანელებმა ვერ შესძლეს საშემოდგომო ნათესთა გადიდება. ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში საშემოდგომო ნათესთა საერთო ფართობი შეიძლება წარსულ წლებისაზე ნაკლები აღმოჩნდეს, როდესაც ეს ფართობი უკვე დაბალ დონეზე იყო. თუ საგაზაფხულო თესვის კამპანიამ ვერ აანაზღაურა არასაკმაო საშემოდგომო ნათესები, მაშინ ამ ქვეყნებს ზედიზედ მესამე წელს ექნებათ ხორბლის ნაკლებობა. 1941 წელს ხორბლის მოსავალი 1.320 მილიონ ბუშელს შეადგენდა, ნორმალური 1.700 მილიონი ბუშელის ნაცვლად. მუშახელის ნაკლებობამ შეუძლებელი გახადა ხორბლის ნათესთა ფართობის გადიდება იტალიაში, სადაც, როგორც ვიცით, სურსათის მეტად მწვავე ნაკლებობაა.

გერმანიის სასურსათო მდგომარეობა

ანკარა, 6 იანვარი (საკდესი). გერმანიის სასურსათო მდგომარეობა კვლავ უარესდება. გერმანულ გაზეთ „ჰამბურგერ ფრემდენბლატის" ცნობები აშკარად მოწმობენ, რომ ისედაც მათხოვრული სასურსათო ნორმების გაცემა იანვარში ჩვეულებრივზე გაცილებით უფრო გვიან დაიწყება, ხორცის დუქნები გაღებულ იქნება მხოლოდ 1-2 დღე კვირაში.

გაზეთმა „ნა-ლანდპოსტმა" გამოაქვეყნა გერმანიის მეურნეობის სამინისტროს მრჩევლის კლაუსის წერილი. კლაუსი სწერს, რომ 1941 წელს გერმანიაში კიდევ უფრო შემცირდა პროდუქციის გამოშვება. ეს აიხსნება მოუსავლიანობითა და ომის შედეგებით. 1941 წელს კარტოფილის მოსავალი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე 1940 წელს. არადამაკმაყოფილებელი იყო მარცვლეულის მოსავალიც. 1941 წელს მოსახლეობას კიდევ უფრო შეუმცირეს ხორცის ნორმები.

ავტორი აღნიშნავს, რომ გერმანიის სასურსათო მდგომარეობა იმის გამოც გაუარესდა, რომ გერმანიაში იმყოფება მილიონობით უცხოელი მუშა, „რომელთა გამოკვებაც აუცილებელია". ნაცისტთა მოხელე გაფრთხილებას იძლევა, რომ მოსახლეობამ არ უნდა იქონიოს სასურსათო მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი. იგი ფრიად საყურადღებო შედარებას აკეთებს: გერმანიის ახლანდელ სასურსათო მდგომარეობას ადარებს 1916 წლის მდგომარეობას და შენიშნავს, რომ „ახლა მაინც რამდენადმე უკეთესი მდგომარეობააო". მაგრამ ეს შედარება გერმანიის 1916 წლის სასურსათო მდგომარეობასთან, როდესაც შიმშილმა გერმანიაში უკიდურეს ზომას მიაღწია, საკმაოდ ნათლად ახასიათებს გერმანიის ახლანდელ მდგომარეობას.

თურქეთის პრესა გერმანიის სარდლობის შეცდომების შესახებ

სტამბოლი, 6 იანვარი (საკდესი). 1941 წლის წინა დღეს,—სწერს ჯაჰიდ იალჩინი გაზეთ „ენი საბახში",—გერმანიის რადიომ დიდი ამბით გამოაცხადა, ეს წელი საბოლოო გამარჯვების წელი იქნებაო. ჰიტლერი გერმანელებს არწმუნებდა: გამარჯვება წელს უკვე უზრუნველყოფილიაო. ამასწინათ წარმოთქმულ სიტყვაში მან განაცხადა: დაიწყო გერმანიის არმიის უკანასკნელი შეტევა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე და რუსებისათვის უკანასკნელმა საათმა დაჰკრაო. მაგრამ უკანასკნელი საათი გერმანიის შეტევის უკანასკნელი საათი აღმოჩნდა. გერმანელები აცხადებენ თითქოს უკან იხევდნენ საკუთარი სურვილით, მაგრამ ისინი ქალაქებსა და პოზიციებს ჰკარგავენ, რომელთა დიდმნიშვნელობის შესახებ თვითონ ისინი ასე ბევრს გაჰყვიროდნენ. ლიბიის ომსაც მხოლოდ მწარე იმედის გაცრუება მოაქვს გერმანელებისათვის.

ზეჰერია სერტელი გაზეთ „ტანში" სწერს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ახალი წლის დამდეგისათვის შექმნილ ვითარებას და სწერს: „6 თვის ომის შემდეგ, გერმანელები არათუ იძულებული გახდნენ ხელი აეღოთ შეტევაზე, არამედ უკანდახევაც იწყეს. უკუქცეულ გერმანელთა არმიებს განუწყვეტლივ ურტყამენ საბჭოთა ჯარები და გერმანელები თავდაცვის მტკიცე ხაზს ვერ ჰქმნიან. წითელი არმია ხელში იღებს ინიციატივას".

გაზეთ „ტასვირი ეფქიარი" მოწინავე წერილში სწერს: „ჩვენ მოწმენი ვართ გერმანელთა დიდი სიძნელეებისა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. ყირიმში რუსების მიერ მოპოვებული წარმატება იმას მოწმობს, რომ მათი სახმელეთო და საზღვაო ძალები, ზამთრის პირობების მიუხედავად, უდიდეს საქმეს აკეთებენ".

ბრესტის დაბომბვა

ლონდონი, 4 იანვარი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ 3 იანვარს, ღამით, კვლავ დაიბომბა ბრესტის დოკები. მტრის წყლებში ნაღმებია ჩაყრილი. ინგლისის ყველა თვითმფრინავი მშვიდობით დაბრუნდა თავის ბაზაში.

ომი წყნარ ოკეანეში

(5 და 4 იანვრის დეპეშების მიმოხილვა)

ფილიპინებზე, ლუსონის კუნძულზე, ამერიკელთა და ფილიპინელთა ჯარები ახალ პოზიციებზე გამაგრდნენ მანილის ჩრდილო-დასავლეთით და ინარჩუნებენ კორეგიდორის სიმაგრეებს, აგრეთვე მანილის უბის რაიონის სიმაგრეებს, რაც მოწინააღმდეგეს ნავმისადგომის გამოყენების საშუალებას არ აძლევს. იაპონელთა ჯარები ცდილობენ ამერიკელთა ახალი თავდაცვითი პოზიციების გარღვევას, მაგრამ მტკიცე წინააღმდეგობას აწყდებიან. ლუსონის ჩრდილოეთ და სამხრეთ - აღმოსავლეთ ფრონტებზე იაპონელთა ყველა იერიში მოგერიებულია. იაპონელთა ავიაცია კვლავ განუწყვეტლივ ესხმის თავს კორეგიდორისა და მანილის ყურეს. გუშინ იაპონელთა 60 ბომბდამშენი 5 საათს ბომბავდა ამ პუნქტებს. მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა. მოკლულია 13 და დაჭრილია 35 კაცი. ჩამოგდებულია იაპონელთა 3 თვითმფრინავი. გარდა ამისა, იაპონელთა ავიაცია დიდ აქტივობას იჩენდა ამერიკისა და ფილიპინების ჯარების ახალი თავდაცვითი პოზიციების რაიონში. ფილიპინების დანარჩენ ფრონტებზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

ამერიკის გემები თანამშრომლობენ ინგლისის ფლოტსა და ჰოლანდიის ინდოეთის ფლოტთან წყნარი ოკეანის წყლებში.

მალაიაში ბრძოლა გრძელდება პერაკის სამხრეთ ნაწილში. ინგლისის ჯარებმა, რომელთაც იაპონელები ფეხდაფეხ მისდევენ, ცოტათი დაიხიეს უკან. ინგლისელთა კონტრიერიშების დროს იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. მარცხით დამთავრდა იაპონელთა ცდა დამატებითი დესანტი გადაესხათ მდინარე პერაკის ქვემოწელში, ამასთან ჩაძირულ იქნა ტრანსპორტი იაპონელთა ჯარითურთ. იაპონელთა ავიაციის აქტივობა რამდენადმე შემცირდა. გუშინ იაპონელთა 24 თვითმფრინავმა სინგაპური დაბომბა. მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა. მოკლული და დაჭრილია 7 კაცი.

ინგლისის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მალაიაში იაპონელთა ძალები სჭარბობენ. ინგლისელთა სანაპირო პოზიციებისა და მათი კომუნიკაციების წინააღმდეგ იერიშის მისატანად იაპონელები იყენებენ დიდძალ მოპიკირე ბომბდამშენებსა და მსუბუქ ტანკებს. ამის გამო ამჟამად აღნიშნავენ, რომ აუცილებელია სასწრაფოდ გაიგზავნოს მნიშვნელოვანი მაშველი ძალები, განსაკუთრებით ავიაგამანადგურებლები, აგრეთვე ახალი სახმელეთო ჯარები, რათა სტაბილიზებულ იქნას ფრონტის ხაზი.

იაპონელებმა დიდი დესანტი გადასხეს ბრიტანეთის ჩრდილო ბორნეოს აღმოსავლეთ ნაწილში.

ჰოლანდიის ინდოეთში იაპონელები კვლავ ბომბავენ და ტყვიამფრქვევს უშენენ დასახლებულ პუნქტებს. მაგალითად, 1-ლ იანვარს დაბომბილ იქნა ქალაქი ლაბუან-ბილიკი, სუმატრის კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სადაც არავითარი სამხედრო ობიექტი არ ყოფილა. დაბომბილ იქნა აგრეთვე ქალაქი ამორანგი (ცელებესის კუნძული). არქიპელაგის ჩრდილოეთ ნაწილში იაპონელთა თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს ამერიკის საომარ გემზე, მაგრამ ზიანი ვერ მიაყენეს.

5 იანვარი (საკდესი).

ამერიკის ცნობები

ლონდონი, 4 იანვარი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ამერიკისა და ფილიპინების ჯარები მანილის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით მედგარ წინააღმდეგობას უწევენ იაპონიის ჯარებს. იაპონელებს უფრო და უფრო მეტი შეუპოვრობით მიაქვთ იერიში ამერიკისა და ფილიპინების ჯარების პოზიციებზე.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 4 იანვარი (საკდესი). ინგლისის სინგაპურის სარდლობის დღევანდელ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ პერაკის ფრონტზე იაპონელთა ჯარების მიძალება გრძელდება. ღამის განმავლობაში ინგლისის ჯარებმა სამხრეთისაკენ დაიწიეს, ახალი პოზიციები დაიკავეს და მტერს წინააღმდეგობას უწევენ. როგორც ჰფიქრობენ, მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. მდინარე პერაკის ქვემო წელში იაპონელები უმნიშვნელო აქტივობას იჩენენ.

გუშინ იაპონიის ჯარები ბრიტანეთის ბორნეოს სანაპიროზე გადავიდნენ, 100 მილზე ბრუნეის ჩრდილოეთით. 3 იანვრის ღამის განმავლობაში ინგლისის ავიაციამ დაბომბა და ტყვიამფრქვევი დაუშინა მოწინააღმდეგის გემებს მალაიის დასავლეთ სანაპიროსთან. სიბნელის გამო ძნელია იმის თქმა, თუ რა შედეგი მოჰყვა ოპერაციას.

წუხელ სინგაპურში გამოჩნდა იაპონელთა 24 თვითმფრინავი, რომლებმაც ბომბები ჩამოჰყარეს. მაგრამ ნგრევა უმნიშვნელოა. სამოქალაქო მოსახლეობაში რამდენიმე მსხვერპლია.

გუშინ, დილით, ინგლისისა და ამერიკის თვითმფრინავებმა რომლებიც ბირმის ტერიტორიიდან მოქმედებდნენ, იერიში მიიტანეს მტრის აეროდრომზე ტაიში. ყველა თვითმფრინავი ბაზაში დაბრუნდა. მტრის აეროდრომზე მოსპობილია 4 ავიაგამანადგურებელი და ჩამოგდებულია 2.

ლონდონი, 4 იანვარი (საკდესი). ავსტრალიის სარდლობის კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ავსტრალიის ავიაცია თავს დაესხა იაპონელთა ბაზას კაროლინის ერთ-ერთ კუნძულზე. ყველა ბომბი ნიშანს მოხვდა და საწყობები და ნაგებობანი დაანგრია. მოწინააღმდეგის ერთ თვითმფრინავს ალი მოედო და მოისპო. ავსტრალიის ყველა თვითმფრინავი ბაზაში დაბრუნდა.

იაპონელთა შორი რადიუსის მოქმედების ბომბდამშენებმა საზვერავი ფრენა მოაწყეს ბისმარკის არქიპელაგზე, აგრეთვე იერიში მიიტანეს ავსტრალიის აეროდრომზე რაბაულში. რამდენიმე ბომბის მოხვედრის შედეგად აეროდრომზე მცირეოდენი ნგრევა მოხდა. არის რამდენიმე მსხვერპლი.

ღერძის სახელმწიფოთა და ინგლისის ავიაციის დანაკლისი

ლონდონი, 4 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ღერძის სახელმწიფოთა ავიაციის დანაკლისი დასავლეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში 1941 წლის განმავლობაში 4.093 თვითმფრინავს შეადგენს. ინგლისმა 2.189 თვითმფრინავი დაჰკარგა. ომის დაწყებიდან ამ ორ საომარ ასპარეზზე მოსპობილია ღერძის სახელმწიფოთა 8.935-მდე თვითმფრინავი, ინგლისის დანაკლისი კი 3.961 თვითმფრინავს შეადგენს. მოყვანილ ციფრებში არ შედის გერმანიის ავიაციის დანაკლისი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

იაპონია-ჩინეთის ომი

ხუნანის პროვინციაში ბრძოლა გრძელდება. იაპონელთა ჯარების მთავარმა ძალებმა ჩანშას მიაღწიეს და ქალაქში შეიჭრნენ. ბრძოლა მიმდინარეობს როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთაც. ქალაქის მეტი ნაწილი ჩინელთა ჯარების ხელშია. იმავდროულად ჩინელთა ჯარებს იერიში მიაქვთ იაპონელებზე აღმოსავლეთის ფლანგიდან, ცდილობენ მოშალონ იაპონელთა ჯარების კომუნიკაციები და მომარაგების გზები.

4 იანვარი (საკდესი).

* * *

ქალაქ ჩანშაზე იაპონელთა ჯარის შეტევას მედგარ წინააღმდეგობას უწევენ ჩინელები. ჩინელთა ჯარებმა, როგორც შარშან შემოდგომაზე, ახლაც ჩანშისათვის ბრძოლებში დიდი ზარალი მიაყენეს იაპონელებს.

იაპონელთა სარდლობამ თავი მოუყარა ხუნანის ჩრდილო ნაწილში დიდ ძალებს, რომლებმაც 20 დეკემბერს შეტევა დაიწყეს სამხრეთისაკენ. ჩინეთის სარდლობის ცნობით, შეტევის მონაწილე იაპონელთა ჯარების რაოდენობა 100 ათას კაცს აღწევდა. ბრძოლებში მონაწილეობდა 6 დივიზია და 2 ბრიგადა. იაპონელთა ჯარებმა მდინარე მილო გადალახეს და სწრაფად იწყეს წინსვლა ჩანშისაკენ. ყველაზე სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა 3 და 4 იანვარს, როდესაც იაპონელებმა შესძლეს გარშემორტყმოდნენ ქალაქს სამი მხრიდან. მაგრამ ჩინელთა ჯარების მტკიცე კონტრიერიშების შედეგად, აგრეთვე იაპონელთა მარცხენა ფრთაზე და ზურგში ჩინელთა აქტიური მოქმედების მეოხებით, ფრონტზე მიძალება შესუსტებულ იქნა.

ძიანსის პროვინციაში ჩინელთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი გაოანი, 60 კილომეტრზე ნანჩანის სამხრეთ-დასავლეთით. იაპონელებმა უკან დაიხიეს ნანჩანისაკენ. 3 იანვარს იმავე პროვინციაში ჩინელთა ჯარმა დაიკავა ქალაქი უნინი.

5 იანვარი (საკდესი).

რუმინეთში მოსახლეობას თბილ ტანსაცმელს ართმევენ

ნიუ-იორკი, 3 იანვარი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს ანკარელი კორესპონდენტის ცნობით, ამჟამად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე ცივი ზამთარია, ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში. სამხედრო პატრულები ბუქარესტის ქუჩებში მამაკაცებსა და ქალებს ძალით ხდიან ბეწვის პალტოს და სხვა თბილ ტანსაცმელს ფრონტზე გასაგზავნად. როგორც გადმოგვცემენ, ბალკანეთის სხვადასხვა ქალაქებში კვლავ ჩაჰყავთ დამზრალ გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფები.

ლექცია

9 იანვარს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის აგიტპუნქტში შესდგება ამხ. ჟუჟიკაშვილის ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი". ლექციის შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოსურათი სამხედრო-თავდაცვითი თემაზე.

5 იანვრის ლექციისათვის შეძენილი ბილეთები ძალაშია 9 იანვარს.

თეატრებში

საოპერა — 8 იანვარს—„ტრავიატა". **რუსთაველის სახელობის** — 8 იანვარს „პროფესორი მამლოკი", 8 იანვარს დღისით—„ღალატი", **მარჯანიშვილის სახელობის** —8 იანვარს — „მკაცრი ქალიშვილები", 8 იანვარს დღისით — „ხოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი", **სანკულტურის** — 8 იანვარს —„ოქროს ვერძი", **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—8 იანვარს — „სკაპენის ოინები" (მე-35 აბ., დასაწყ. დღის 12 ს.), 8 იანვარს—„კონცერტი" (აბ. გარეშე, დასაწყ. საღ. 8 ს.).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „სომხური კინოკონცერტი", ოქტომბერი — „პეპო", დამკვრელი —„ჰაობის ჯარისკაცნი", სპარტაკი—„კაინი და არტემი", ლუქსემბურგის სახ. — „დათვი", „ნიღაბი", 26 კომ. სახ.—„ჯარისკაცი ფრონტიდან ბრუნდებოდა", კომინტერნი—„მტრის ზურგში", მეცნიერება და ცოდნა — „თოვლიანების ქვეყანაში".

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ხობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3724608, გაცემული დიმიტრი ონისიმეს-ძე გარუჩავას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 3088009, გაცემული ელენე ლავრენტის-ასულ ჯანელიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2850618, გაცემული მიხეილ დიანოზის-ძე ეძგვერაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3723786, გაცემული მიხეილ ანთიმოზის-ძე მურუსიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2840863, გაცემული შალვა გიორგის-ძე გოგოლაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 4342968, გაცემული არეთა ჩაგეს-ძე გერგედავას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ხობის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1526953, გაცემული ივანე დათას-ძე ხუბუას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ხატიაშვილი

დედამთილი ქრისტინე (კატუ) ნანეიშვილი, მული მარო, სიძე თეოფანე შვილებით ნელით და ლეილათი ჩიქოვანები იუწყებიან

გოგუცა ნანეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7/I 6 ს. ძერჟინსკის, 6. 23

ძმისწული ვანო, რძალი დომნა, სონია, ვახტანგ, ცაცა მასხულიები იუწყებიან

ოლღა (ფუცუ) ტიმოთეს-ასულ ზაქარაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7/I 8 ს. დაკრძალვა 8/I 4 ს. გამოსვენება ქალ. I საავადმყოფოს პროზექტურიდან ვაკის სასაფლაოზე. 27

შვილები ნარიო, ეუნია, ნატაშა ქმარშვილით იუწყებიან დედის

ესმა ეგნატეს-ასულ კოგიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7/I 7 ს. გამოსვენება 8/I 4 ს. ფურცელაძის, 13, კუკიის სასაფლაოზე. 25

დედა ქეთევან, მეუღლე ნინო, შვილები ნელი, თემო, ძმები პეტრე, ვასო ცოლით ელიჩქათი, დები მარო, თეოდულა, ფაცია, სიძეები დიმიტრი ქარცივაძე, ნოე გიორგაძე იუწყებიან დამსახურებული მასწავლებლის

ანტონ ანთიმოზის-ძე ქიქოძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 10/I 7 ს. გამოსვენება 11/I 2 ს. ლელაშვილის ქუჩ. 3 (ლენინაიონი) კუკიის სასაფლაოზე. 24

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის—3—62—26; პ/მგ რედაქტორის მოადგილისა—3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67; პ/მგ მდივნის მოადგილისა—3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის—3—81—84; სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო-სატრანსპორტო—3—80 — 83; ლიტერატურისა და ხელოვნების, განათლება-ჯანმრთელობის და ინფორმაციის—3—80—84; სამხედროსი—3—57—61; წერილების—3—73—24; პ/მგ მორიგისა და გამომშვების—3—81—65; გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

ჟე 154